წლიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

ხუთშაბათი 20 აპრილი 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:

წლი რად.	15 მან.
ნახევარი წლით	8 მან.
თვიურათ	1 მან. და 50 კ.

ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტით ღირს	25 კ
უკანასკნელ გვერდზე	15 კ

[illegible] განცხადება ღირს ერთი ორად

სამგლოვიარო განცხადების ლაზეპდვა [illegible] არა უმეტეს სამ [illegible] გამოცხადებისა [illegible] ნაშუადღევის

2 საათ.	5 მ.
2 საათის შემდეკ	6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს მიქელაძის ს.

№ 9 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 9

თანამოაზრე ახალგაზრდობის საყურადღებოთ

სამშაბათს, 25 აპრილს ქ. ქუთაისში დანიშნულია

სრულიად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოსწავლე ახალგაზდობის (სტუდენტებისა და საშ. სასწ. მოწაფეების)

კონფერენცია.

შენიშვნა: კონფერენციაში დაესწრება ორ ორი დელეგატი არა ადგილების მიხედვით, არამედ იმ სასწავლებლის მიხედვით, სადაც პარტიული ორგანიზაცია არსებობს, განურჩევლად სქესისა. დელეგატებს თან უნდა ჰქონდეს პარტიული მანდატი. ბინის შესახებ იკითხეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში.

კონფერენციის მომწყობი კომისია.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჯიბოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

ოთხშაბათს, 19 და ხუთშაბათს 20 აპრილს დიდი არაჩვეულებრივი წარმოდგენა საუკეთესო დაჯილდოებულ მსახიობთა მონაწ.

3 მოჯირითეს შეჯიბრება.

დირექციამ საჩუქრად 50 მან. დანიშნა. დღეს გამოდიან ყველა ოხუნჯები და ხუმარები. პირველად დღეს დიდი სახუმარო პანტომიმა. კაფე-შანტანი. დასაწყისი საღამოს ცხრას ნახევარ საათზე.

ანონსი: 4 ეშმაკის გასტროლები. 2—1

განცხადება.

ვაჭარმა გერმანე სოლაბერიძემ

მიიღო რამდენიმე ვაგონი დაბალი ხარ. **სიმინდი**, რომელიც გამოდგება საქონლის საკვებად. ფასი ფუთი 1 მ. და 40 კაპ. ადრესი: ქუთაისი, ბალახვანის ქუჩა. 6-2

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

17 აპრილიდან ახალი პროგრამა.

„40 ათასი ქერა ქალი“, მელოდრამა 2 ნაწილად. „ჩვენი დიასახლისი“, ფარსი 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით.

ანონსი: 20 აპრილიდან ფრიად საინტერესო პროგრამა. **დიდებული დაკრძალვა რევოლიუციის მსხვერპლთა პეტროგრადში 23 მარტს. ძირს ხუნდები! გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს!** პოლიტიკურ მომენტის კინო ილიუსტრაცია. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

ელექტრო ამპირ თეატრი

17 აპრილიდან ახალი პროგრამა. „გომონის ქრონიკა“, მიმდინარე ამბები. „სიხარული იქნება“, დრამა 5 ნაწ. პარიზის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. „მილიდან გაფრინდა“, სახუმარო.

ანონსი: 20 აპრილიდან ფრიად საინტერესო პროგრამა. დიდებული დაკრძალვა რევოლიუციის მსხვერპლთა პეტროგრადში 23 მარტს. ძირს ხუნდები! გაუმარჯოს თავისუფლებას! პოლიტიკურ მომენტის კინო-ილიუსტრაცია. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა სთხოვს განყოფილების წევრთ მობრძანდნენ შავი ქვის მრევლთა კრების საბჭოში 23 აპრილს, დილის თერთმეტ საათზე სადაც დანიშნულია

საგანგებო კრება.

მთავარი გამგეობის ამრჩეველ ორი დელეგატის ასარჩევათ და თფილისში გასაგზავნათ. 2-2

შაბიამანი

და საჭმლისათვის ღვინისქვის სიმჟავე იყიდება „კავკასიაში ტეხნო-ქიმიურ წარმოებათა ამხანაგობაში“.

თფილისი, ოლღას ქუჩა № 70. 6 4

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მტკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

დღეს:

წერილები:

- ვასილ წერეთელი—საქართველოს ხმა
- ინ-ხანი—ქართველ გლეხს
- ქართული პრესა.
- ირ-დი—რა ვილონოთ

ცნობები:

- ახალი მთავრობის ამბები.
- ომის დეპეშები.
- ჟურნალ გაზეთებიდან.
- რევოლიუცია და გლეხები
- უცხოეთი
- ომის და ზავის ამბები
- უკანასკნელი ამბები.
- ქუთაისის და თბილისის ქრონიკა.
- ადგილობრივი ცხოვრებიდან: ქალაქის მცხოვრებთა აწერა; დაატუსაღეს ცნობილი შავრაზმელი ალიფეროვი; სასურსათო თათბირი.
- წერილი რედაქციის მიმართ

მოწოდება.

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში.

საქართველოს ხმა.

საერთაშორისო ომის დაწყებიდანვე თვითეული ერი გამოვიდა, როგორც მთლიანი, დაუნაწილებელი, შენაწყვრებული ორგანიზმი.

და დღესაც, რუსეთის დიდი რევოლიუციის დროს, იგივე განმეორდა: უკრაინამ, ესტონეთმა, ფინეთმა, სომხეთმა, თურქებმა, დაღესტანმა—ერთხმად მოითხოვეს თავ-თავისი ავტონომია.

მხოლოდ საქართველო სდუმდა დღემდის, დაწიწკნილი და დარღვეული სხვა და სხვა, ერთმანეთზე გადამტერებული პარტიის მიერ. ზოგი ისე იყო გატაცებული სოციალიზმითა და კლასობრივი ინტერესით, რომ სრულიად აღარ ახსოვდა ეროვნული, ზოგი ვიწრო ფარგლით საზღვრავდა საქართველოს ავტონომიას, ზოგი აღიარებდა ისტორიულ საზღვრებს...

სხვა და სხვაობამ შეუძლებელ ჰყო შერიგება, და საქართველოს არა ჰქონია დღემდის ერთი ხმა ეროვნული საკითხის შესახებ.

მაგრამ შერიგება აუცილებელია და დროა, ყველა პარტია შეერთდეს საერთო ეროვნული მოთხოვნის გარშემო. თუ გვინდა მოისმინონ ჩვენი ხმა, ერთი ხმა უნდა გვქონდეს!

მაგრამ მარტო პარტიათა შეერთება არა კმარა. საჭიროა, პარტიათა მიერ არჩეულმა ეროვნულმა კომიტეტმა მოიწვიოს საქართველოს ავტონომიის დამფუძნებელი კრება, ხალხის მიერ არჩეულნი საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირისა და ფარული ხმის მიცემით. ამ კრებამ უნდა შეადგინოს კონსტიტუცია და წარუდგინოს დასამტკიცებლად რუსეთის დამფუძნებელ კრებას.

ეს იმიტომ არის საჭირო, რომ, ჯერ ერთი პარტიათა წარმომადგენელთ არ აქვსთ უფლება საბოლოოდ გადაჭრან და დაადგინონ საქართველოს ავტონომიის ძირითადი დებულებანი და, მეორე, საქართველოს დამწესებელი კრების ხმას, უეჭველია, მეტი ძალა და ავტორიტეტი ექნება.

ამ წესით აპირობენ თავისი ავტონომიის განხორციელებას უკრაინელები, რომელნიც, როგორც აღმოჩნდა. ჩვენზე უფრო მომწიფებული ყოფილან პოლიტიკური ცხოვრებისათვის. მათ უკვე შეადგინეს პარტიათა, კულტურულ დაწესებულებათა და მცოდნე პირთაგან ეგრეთ წოდებული „რადა“, ან ეროვნული კომიტეტი, რომელმაც უნდა მოიწვიოს თავისი მხრით უკრაინის დამფუძნებელი კრება.

დასასრულ კარგი იქნებოდა, თუ ის ეროვნული კომიტეტი, რომელიც ახლა თფილისში უნდა შესდგეს, არ გადასჭრის საბოლოოდ საქართველოს ავტონომიის ტერიტორიის საზღვართა და პოლიტიკურ უფლებათა გარეშე მცველობის საკითხს, რომლის გადაწყვეტის უფლება მხოლოდ საქართველოს დამფუძნებელ კრებას აქვს.

ნუ დავიგვიანებთ. შევკრბეთ, შევერთდეთ ამ დიდი საქმის გარშემო. დეე, გაისმას ქუხილის მსგავსად საქართველოს ხმა.

ვასილ წერეთელი

ქართველ გლეხს!

თითქმის ყოველ დღე მოდის სოფლებიდან ცნობები, კერძო პირთაგან თუ წერილობით, რომ პროპაგანდისტთა მეოხებით გლეხობა თითქმის მოწყვეტილი მისს მსაზრდოებელ მიწას და მთელს დღეებს მიტინგებსა და კრებებს ანდომებს.

ასეთი ნგრევა-აღორძინების დროს, რასაკვირველია, მეტად სასიამოვნო და გასახარელია, რომ ჩვენი გლეხიც მიისწრაფვის დღევანდელ ვითარებათა გაგებისაკენ. ეს მათს გონებრივ დონეს აამაღლებს, გამოურკვევს მდგომარეობას დააყენებს ამა თუ იმ გზაზედ. ვინ იტყვის, რომ პოლიტიკურად მომწიფება არ იყოს გლეხისათვისაც ისე საჭირო, როგორც ქალაქის მცხოვრებისათვის. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ პოლიტიკურ მომზადებასთან ერთად ისიც არ უნდა დაივიწყოთ, რომ თუ ეკონომიურად დავსუსტდით, მეტად გაგვიჭირდება ისედაც გამწარებული ცხოვრება. აგერ რამდენიმე წელია, რაც საქართველო საშინელ სიმშილს განიცდის. ამის მიზეზები მრავალი იყო. ჯერ ერთი ისა, რომ ჩვენი გლეხი არ იყო უზრუნველყოფილი მთავრობისგან. მას არსაიდგან უჩანდა დახმარება. ამას მოუსავლობა ზედ დაერთო. გვალვებმა და წყალდიდობამ ხომ ხელი შეუწყო ასეთ უნუგეშო მდგომარეობას. მოაწია ამ საშინელმა ომმა, და საუკეთესო შვილები საქართველოისა ჩვენი ქვეყნის მთავარი ძარღვი ახალგაზრდა მიწის მუშა—მოსწყვიტა ოჯახს, სამშობლოს საყვარელ მიწას და სადღაც შორ გადისროლა სისხლის დასაღვრელად. სოფელი დაიცალა ძალღონისგან და დააწვა მთელის თავის სიმძიმით უსუსურ ბავშთ, მოხუცებულთა და შრომის უჩვევ დედაკაცებს. ასეთი მდგომარეობა უეჭველია არანორმალურ პირობებს შექმნიდა ჩვენს სოფლებში. რაღა უნდა იქნეს შიმშილობაზე უფრო საშინელი? ყოველისფერს გაუძლებს კაცი, ყველასფერს აიტანს ხოლო შიმშილობა გამოსწოვს მას ცხოვრების მთავარ ძალას. ფიზიკურ დაუძლურებას ყოველთვის მორალური დაბეჩავებაც თანა სდევს. ეს ასეა და ამიტომაც არის, რომ პოლიტიკური და ეკონომიური არ არიან ერთი მეორისაგან დაშორებული. მათ შორის მჭიდრო კავშირია ყოველთვის, ხოლო თუ მათ შორის შემაერთებელი ძაფი გასწყდა, გასწყდება ცხოვრების ძალაც.

ქართველები ყოველთვის უკიდურესობის ხალხი ვიყავით ისეთ დროებში, როდესაც დიდს ძილს გამოღვიძება მოჰყვებოდა ხოლმე. ასე მოხდა დღესაც. ელვის სისწრაფით გაქანებულმა რევოლიუციის ამბებმა გაიტაცეს ქართველი ხალხი და მასთან ერთად მისი დედა—ძარღვი გლეხობაც. ის ჩაითრია სტიქიონურმა მომენტმა და დაავიწყა მას მთავარი რამ,—ის, რომ მიწა არის მისი სახლიც, კარიც, ცოლ-შვილიც, გრძნობაც და გონებაც. მიწა მისცემს მას იმას. რასაც ვერც ერთი პროპაგანდისტი შეუსრულებს. აი ამიტომ ამავე მიწას უნდა დაუბრუნდეს ჩვენი გლეხი. მას მიჰხედოს, ნუ გაიტაცებს ლამაზი ფრაზები და ცარიელი, უაზრო სიტყვები. შეგპირდებიან სამოთხეს სიტყვით, სასუფეველს ამა ქვეყნად, ხოლო შეპირება შეპირებად დარჩება და იმასაც გამოესალმებით, რასაც ამდენ ხანს მიწა გაძლევდათ. გუშინ მიწას მიკრული დღეს მიტინგებს ანდომებს ჩვენი გლეხი ძვირფას დროს. ისიც ეხლა, გაზაფხულზე, როდესაც მთელი წლის ჰირნახულს საძირკველი ეყრება. განა არ შეიძლება მიტინგებსაც ესწრებოდეთ და თქვენს მასაზრდოებელ მიწასაც ძველებურად მხნედ ამუშავებდეთ?

იმედი უნდა ვიქონიოთ იმისა, რომ ქართველი გლეხი დღესაც შეიგნებს მომეტის სიმწვავეს და შეუმცდარის ინსტინქტით უწინდებურად იხსნის განსაცდელისაგან, როგორც თვის ოჯახს, ისე უმისოდაც გაწამებულ სამშობლოს.

ინ-ხანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული პრესა.

გაზ. „საქართველო“ ეხება რა მუშათა დღესასწაულს პირველ მაისს, აღნიშნავს, რომ „საქართველოს მუშათა კლასმა სოც.-დემ. პარტიის მეთაურობით ავანგარდის საპატიო ადგილი დაიკავა რუსეთში“ და განაგრძობს:

„საქართველოს შვილები არიან, პეტროგრადის სარევოლიუციო ძალების მეთაურ ორგანოს რომ ხელმძღვანელობენ“-ო.

თუ გავიხსენებთ, მართლაც, 1905 წლიდან დღემდე, ყოველთვის და ყველგან, თუ კი სადმე ქართველი კაცი გამოჩნდებოდა რუსეთში, მყისვე ხელთ იგდებდა მეთაურობას და შეუპოვრად წინ მიდიოდა თავისი იდეალების განსახორციელებლად. ოთხმა სახელმწიფო სათათბირომ განვლო ჩვენს თვალწინ და ოთხთავეთა მარცხენა ფრთებს ქართველები მეთაურობდნენ.

არა თუ მარტო სოც. დემ. ფრაქციაში, ტრუდოვიკებთანაც კი, სადაც ეხლანდელი იუსტიციის მინისტრი კერენსკი იყო წინამძღოლი, განსვენებულმა კუჭიკო გელოვანმა, შესდგა თუ არა ტრუდოვიკების ფრაქციაში ფეხი, ჩაუდგა მათ სათავეში და დიდი პატივისცემა დაიმსახურა მთელი რუსეთის ინტელიგენციისა. ვინ იცის, რარიგ სასიკეთო იქნებოდა ქართველებისათვის, რომ ულმობელ სიკვდილს უდროოთ არ გამოერიცხა განსვენებული კუჭიკო სათათბიროს წევრთა რიცხვისაგან. შეიძლება აღარც კი ყოფილიყო ისეთი ნატვრა ჩვენთვის საოცნებო, როგორითაც გაზ. „საქართველო“ დაასკვნის თავის მეთაურს:

„კიდევ უფრო დიდებული იქნება ის დღე, როდესაც საქართველოს პროლეტარიატი იუქმებს ამ დღეს, როგორც თანასწორი წევრი უფლებამოსილ ეროვნებათა დემოკრატების კავშირისა“.

ნიშნები არის კიდეც იმისა, რომ ეს ასე იქნება. ჩვენც ზეიმითა და სიხარულით უნდა შევხვდეთ იმ დიდებულ დღეს, როდესაც ქართველი მშრომელი ხალხი დაირქმევს ეროვნულ სახელს.

რა ვიღონოთ?

შიმშილობა საქართველოში დღეს ჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იგი ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში ნაგრძნობია. სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობას წლის სარჩო გაუთავდა და ამ ჟამად იგი გარედან შემოზიდულ საკვებს შეჰყურებს. ქალაქებიც განსაცდელში იმყოფებიან, ფართე მასსა პურს ველარ შოულობს და ნახევარჯერ შიმშილს ითმენს. ჩვენი ხალხი პურს მეტად ბევრს ხმარობს. დღეში თითოეულ სულს უკანასკნელი $2^{1}/_{2}$ გირვანქა პური სჭირდება. არსებულ პირობებში მცხოვრები ნახევარ გირვანქა პურს ძლივს შოულობს. ეს მოვლენა ხალხის ჯანმრთელობას ემუქრება. ხალხს დაავადმყოფებს არა ნორმალური კვება.

გასულ წელს იმერეთის სოფლებში ბევრი შიმშილობისაგან დასნეულებული ბავშვი და ქალი იყო. რამდენიმე ოჯახი კიდეც ამოწყდა. ასეთი საერთო უბედურება სდგას დღეს ჩვენს წინაშე.

როგორც ამასწინად ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, წელს შიმშილი წინანდელზე უფრო საგრძნობ სიძლიერით გვევლინება, რადგან მუშა ხელი ისევ ბრძოლის ველზეა და, ვინც სახლში დარჩა მიწას იმდენს არ იმუშავებს, რამდენის დამუშავებაც შეეძლო. ხალხი აალელვა იმ მოვლენამ, რომ დღეს მიწის კითხვა უნდა გადიჭრას. ზოგიერთ სოფლებში ხალხი ხსენებულ საქმის გადაჭრას მამულების დატაცებით აპირებს. მხოლოდ ამ დროს კარზე მომდგარ დიდ უბედურებას არ ებრძვის. ხნა-თესვის შენელება დალუპვას უქადის ხალხს. შიმშილი ქრონიკულ მოვლენად გარდაიქცევა.

რა უნდა ვიღონოთ?

როგორ ავიშოროთ თავიდან საფრთხე?

უპირველეს ყოვლისა ხნა-თესვის აღდგენასა და მოგვარებას უნდა შევუდგეთ. დიდმა და პატარამ ვაცნობოთ ხალხს, თუ რა უბედურებას უქადის მას უმუშევრობა. ხალხს უნდა აუხსნათ, რომ მიწის საქმის გადაჭრა დამოუკიდებლად მას არ შეუძლიან და იგი უნდა მოაგვაროს მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ. ხალხს უნდა ეუწყოს, რომ ძალით ვისიმე კუთვნილ მამულის მითვისება სასტიკად აკრძალულია დროებითი რევოლიუციური მთავრობის მიერ. ამასვე აცხადებს თავის მოწოდებაში კავკასიის კომისარიატი.

სოფლად უნდა გავიდეს ინტელიგენტური ძალები და მცხოვრებლებს უხელმძღვანელოს. 24 - 25 აპრილისთვის თბილისში განზრახულია სასურსათო თათბირის მოწვევა, ამ თათბირზე უნდა წარვსდგეთ ჩვენ სრულის მომზადებით. ხელთ უნდა გვქონდეს ყველა საჭირო ცნობები. ჩვენ ამას წინად საჭიროდ ვსთვლიდით ჩრდილოეთ კავკასიის მოსავლის გამორკვევას.

როგორც ამ დღეებში თბილისის გაზეთებმა გვაცნობეს, ჩრდილოეთ კავკასიაში წელს მოსავალი მცირე იქნება, და მისი იმედით დარჩენა, შეუძლებელია. ჩვენთვის იმის გამორკვევაც აუცილებელია, რა ზომა უნდა გამონახოთ იმ შემთხვევაში, თუ საყოფ პურს და სიმინდს ვერ მოვიყვანთ და გარედან შემოზიდვაც შეუძლებელი გახდება. უკიდურეს შემთხვევაში საჭიროა მივეჩვიოთ კარტოფილის, გამხმარ გოგრის, მზის უმზირის (сѣмечки), იაპონიურ ლობიოს და მუხუდოს პურის მაგივრად ხმარებას. მთელი გერმანეთი და განათლებული ევროპა ბოლო დროს უმთავრესად ამ საშუალებებით ინაზღაურებს მიწის სიმცირეს და უპურობას. იქ სახლის თავებზეც კი ამოჰყავთ კარტოფილის კულტურა.

აგრეთვე სასურველია ჩვენი ხალხი მიეჩვიოს სხვადასხვა საჭმელ წვენის გაკეთებას, რომელიც ჯანმრთელობისათვისაც მარგებელია. ამისათვის წელს ბოსტნეული ხალხმა მეტი უნდა დასთესოს მით უმეტეს, რომ მედიცინა დაბეჯითებით აღიარებს მათ სარგებლობას ჯანმრთელობისათვის.

ამ საქმეზე ზრუნვა მთელმა ერმა უნდა იკისროს, მის მოსაგვარებლად ყველამ უნდა დახარჯოს საჭირო ენერგია და თანხა განსაკუთრებით კი ჩვენში არსებულმა სამეურნეო ორგანოებმა. ისინი ამ განკითხვის დღეს უნდა მიეშველონ ხალხს, მიაწოდონ ზემოჩამოთვლილ ჭირნახულისთვის საჭირო სათესლე გააცნონ სოფლის მცხოვრებთ, მათი მოყვანის პირობები. სამეურნეო დაწესებულებები ვალდებულნი არიან ასე მოიქცენ, თუ ისინი ხალხის საკეთილდღეოდ მოქმედებენ.

ამასთანავე ზედ მეტი არ იქნებოდა ჩვენში არსებული პარტიებიც, იმის მაგივრად, რომ უტოპიური აზრებით გაუჭედონთ გლეხს ტვინი, რაიმე ნივთიერ დახმარებას გაუწევდენ მათ და ამ დარგში მათ კეთილდღეობას ემსახურებოდენ.

ირ—დი.

ახალი მთავრობა

მომქმედ ჯარში.

ოდესა. 16 აპრილი ჩამოვიდნენ ეკატერინოსლავის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დელეგატები, რომელნიც რუმინეთის ასპარეზზე იყვნენ წასულნი ჯარისათვის საჩუქარის მისატანად. მათი სიტყვით, ზოგიერთ უფროსის სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ ასპარეზზე ბევრი რამ სასიკეთოთ შეიცვალა. დელეგატთა რუმინეთში ყოფნის დროსაც გერმანელები ყრიდენ პროკლამაციებს. ჰაეროპლანებიდან, რომლებიც ასე იწყებოდა:

ჯარისკაცნო! თქვენთან ეკატერინოსლავის დელეგატები მოვიდნენ. ამ პროკლამაციებში გერმანელები ცდილობენ უნდობლობა ჩაუნერგონ ჯარს საფრანგეთისა და ინგლისის მიმართ.

ნოვოჩერკასკი. 16 აპრილი. დაიწყო დონის ყაზახობის საჭიროებათა განსახილველად მოწვეული დონის ყაზახთა ყრილობა. დაესწრო 800-მდე დელეგატი, მათ შორის სახ. სათ წევრნი ნაზაროვი და ვორონოვი. ყრილობა გახსნა ატამანმა ვოლოშინოვმა. ფეხზე ადგომით პატივი სცეს რევოლიუციის მსხვერპლთა და ომში დაღუპულთ. ხანგრძლივი ტაშისცემა გამოიწვია ეპისკოპოს ჰერმოგენის სიტყვამ, სადაც ის ყაზახებს ახალი ცხოვრების შესაქმნელად მოუწოდებდა ძმობისა, ერთობისა და თავისუფლების საფუძველზე. ცხარე კამათის შემდეგ დაადგინეს ყრილობის წევრთა სიიდან ამოშალონ დონის აზნაურობის დელეგატები, ყაზახთა სხვა დაწესებულებებისა, შტაბისა და ყაზახთა კავშირის წარმომადგენელი ოფიცრები.

სამინისტროს შუამდგომლობა.

პეტროგრადი. 15 აპრილი. განათლების სამინისტრო ხაზინას 341,000 მანეთსა სთხოვს სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და სემინარიების სახაზინო სტიპენდიატებისათვის ცხოვრების გაძვირების გამო.

თანამდებობის შეცვლა.

ოდესა. 14 აპრილი: ოდესაში ყოფნის დროს გუჩკოვმა ჯარისთვის სურსათის მიწოდების საქმე ვერ იცნო დამაკმაყოფილებლად, ამიტომ გენერალი კიანოვსკი დასავლეთ ფრონტზე გადაიყვანა, ხოლო მის ადგილას სანინი დანიშნა.

პეტროგრადი. 15 აპრილი. ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომისიამ ლენინის სააგიტაციო მუშაობის გამო ასეთი რეზოლიუცია გამოიტანა: ჩვენ მსჯელობა ვიქონიეთ დეზორგანიზაციის შემომტან პროპაგანდის შესახებ, რომელსაც რევოლიუციონერებისა და ხანდახან სოციალდემოკრატების სახელით აწარმოებენ ლენინის მომხრეები.

ჩვენ შეუძლოთ მიგვაჩნია ამავე დროს ამ პროპაგანდის საწინააღმდეგოთ ყოველგვარ ღონის მიღება. ჩვენ უნდა ვესწრაფოთ, ძლიერი ორგანიზაციები გვქნეს, რათა ყოველ წუთს შეგვეძლოს წინააღვუდგეთ კონტრრევოლიუციურ მოქმედებას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ის. ჩვენი სურვილია, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა დეზორგანიზაციასთან საბრძოლველად ბეჭვდითი სიტყვის საშუალებით გასწიოს მიზანშეწონილი აგიტაცია, განსაკუთრებით ჯარის ნაწილებში.

გუჩკოვის ჯანმრთელობა.

გუჩკოვის ჯანმრთელობა უმჯობესდება, თუმც ის ჯერ კიდევ ლოგინში წევს. დღეს პროფესორმა სიროტინინმა სთქვა —მინისტრს უმჯობესობა ეტყობაო.

ინვალიდთა კრება.

პეტროგრადი. 18 ინვალიდთა მიტინგზე. ხანგრძლივ კამათს შემდეგ ასეთი შინაარსის რეზოლიუცია გამოიტანეს: სრულს ნდობას ვუცხადებთ დროებით მთავრობასა და ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს. რუსეთის მმართველობას უფლება აქვს დროებითს მთავრობას, ხოლო ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატებს საბჭოს, როგორც რუსეთის დემოკრატიული იდეალების გამომხატველს, შეუძლია მას კანტროლი გაუწიოს. ლენინის შესახებ რეზოლიუციაში ნათქვამია: კრება გულისწყრომას უცხადებს ლენინს იმ აგიტაციისათვის, რომლითაც იგი რევოლიუციონურ ჯარში შუღლსა სთესავს და დემოკრატიის ერთ ნაწილს ამხედრებს მეორე ნაწილის წინააღმდეგ. ლენინისა და მის თანამოაზრეების მოწოდება კონტრ-რევოლიუციას უწყობს ხელს, ხოლო ბრძოლით მოპოებულ თავისუფლებას საფრთხეს უმზადებს. ლენინის გერმანიაზე გამოვლა მეტად უტაკტო იყო და მავნებელიც რუსებისათვის. ამიტომ ინვალიდთა კრება ჯარისკაცთ და მუშათ დეპუტატების საბჭოს იწვევს ამ საქციელზე მსჯავსრის დასადებათ და ლენინის მუშაობისთვის ნიადაგის გამოსაცლელად. მიწის საკითხზე კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ყველა სახაზინო, საუფლისწულო, სამინისტრო საკაბინეტო და კერძო მესაკუთრეთა მიწები სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდესო. სახელმწიფო კი მიწის პირადათ დამუშავების მსურველსა და შემძლებელს დაუყოფს მიწასო.

დასასრულ კრების რეზოლიუციაში სალამს უძღვნიან მოკავშირეებს. კრება სთხოვს მათ, გწამდეთ, რომ ჯარი და ხალხი შეთანხმებულად მიიყვანენ ომს ბოლომდე, რათა დაცულ იქნას ბრძოლით მოპოებული თავისულება და ყველა დაჩაგრულ ერთათვის თვითგამორკვევის უფლება.

დიდი ეროვნული დღესასწაული

პოლტავა. 17 აპრილი. პოლტავა იგონებს თვის დიდებულ მგოსანს. ტარას შევჩენკოს. საკათედრო მოედანზე თავ მოყრილია გარნიზონი, ვილნის სამხედრო სასწავლებლის იუნკრები, პოლტავის კორპუსის კადეტები, საშუალო და დაბალ სასწავლებლების მოწაფეები, ერობათა, საქალაქო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, 2009 არჩეული გლეხი გუბერნიებიდან და სხვა დიდძალი ხალხი. ხალხში საუცხოვო სანახავი იყო ყვავილებით შემკული მწერლის სურათები, ეროვნული პატარა დროშები და მონაწილეთა ჯგუფები ეროვნულ ტანსაცმელებში. გადახდილ იქნა პანაშვიდი, რომლის შემდეგ ხალხი სადღესასწაულო ელფერით, მუსიკით და გალობით გაემართა მეორე მწერლის, ივანე კოტლიარევსკის ძეგლისაკენ. ბევრი სიტყვა ითქვა. მღეროდენ უკრაინულ ლექსებს.

ხალხის დახმარება

ნიჟნი-ნოვგოროდი. 16 აპრილი. მომხდარ ცვლილების აღსანიშნავად მრავალ სოფელში დაუდგენიათ თავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების სასარგებლოდ შემოწირულება შეაგროვონ. ბევრმა საზოგადოებამ შეაგროვა შემოწირულება პურისა და ფულის სახით.

პეტროგრადი. 17 აპრილი. ბრძანება სამხედრო საუწყებოსადმი 1917 წლის 16 აპრილს.

ბრძოლის ასპარეზის სახალხო ჯარის გარდაქმნა ახალ წყობილების დამყარებას თხოულობს, როგორც თვით ჯარის ორგანიზაციაში, ისე მის შინაურ ყოფა-ცხოვრების მოწესრიგებასა და უფროსებთან დამოკიდებულებაში. აუცილებლობა და სირთულე ამ საქმისა რომელიც მტრის პირისპირ უნდა მოგვარდეს, მოვალეებს ვთხოვო ყველა ოფიცერთა, ჯარისკაცთა და მატროსებს ყოველი ღონე იხმარონ ახალი წესების ცხოვრებაში გასატარებლად. ყველაფერი უნდა მოხდეს შვიდობიანად, სამხედრო ძალის შეურყევლად. უცვლელი უნდა დარჩეს საომარ მომზადებისა და ჯარის საომარ მოქმედების საფუძველი. უფროსის ბრძანება უყოყმანოდ უნდა სრულდებოდეს. ახალი სისტემა არჩეულ სამხედრო ორგანიზაციებზე იქნება დამყარებული. ეს ორგანიზაციები უზრუნველყოფს ყოველ ჯარისკაცის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. ასეთი ორგანიზაციებია როტებისა, პოლკებისა და ჯარის დისციპლინური სამსჯავროები. კომიტეტების მიზანია 1) რუსეთის მთელი ჯარის შეერთება. ერთ მთლიან ორგანიზაციად. 2) დისციპლინისა და წესრიგის თვალყურის დევნება ჯარის ნაწილებში. 3) თავის ნაწილის სამეურნეო საქმის კონტროლი. 4) კანონიერ ზომების მიღება ბოროტ მოქმედებათა და თავისუფლების ბოროტ ხმარების წინააღმდეგ. 5) კერძო ნაწილების შინაური ყოფა ცხოვრების კითხვების გადაწყვეტა. 6) მოსპობა უკმაყოფილებისა ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის. 7) ხელის შეწყობა ჯარში განათლებისა და სპორტისათვის. 8) დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის მომზადება ჯარისა. 9) ჯარისკაცთა და მატროსთა შორის უკმაყოფილების მოგვარება. ეს ორგანიზაციები არჩეული იქნება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით. ამ ორგანიზაციათა და მათ წევრთა უკანონო მოქმედებანი განხილული იქნება სამხედრო სამართლის წესით. ჯარის ნაწილების საერთო კრებები ხელს არ უნდა უშლიდეს სამხედრო და მოსამზადებელ მუშაობას, ან სხვა სპეციალურ საქმეს ეს დებულებანი ახლავე ძალაში უნდა შევიდნენ. ყველა ნაწილში სადაც კი კომიტეტები უკვე არჩეულია საერთო კრების მიერ, მათი მოქმედება უნდა სწარმოებდეს ახალ დებულებათა მიხედვით. ხოლო მომქმედ განსაკუთრებულ ფლოტის ყოფა ცხოვრების მოწყობა ევალება საგანგებო კომისიას მთელი ფლოტის მატროს-დელეგატთა მონაწილეობით. ჯარის კომიტეტებისა და დისციპლინური სამსჯავროების დებულება მიიღო საგანგებო კომისიამ, რომელშიაც მონაწილეობდენ ფლოტისა და მომქმედ ჯარის წარმომადგენელნი, პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს და თათბირის დელეგატები.

ხელს აწერს სამხედრო მინისტრი გუჩკოვი.

პეტროგრადი. 17 აპრილი. გადააყენეს სამსახურიდან ავთმყოფობის გამო საზღვაო სასწავლებლის უფროსი ვიცე-ადმირალი კარცერი. დანიშნეს საზღვაო სასწავლებლის ინსპექტორი ჰეკლეიტი სასწავლებლის უფროსად. დაითხოვეს მისი თხოვნის თანახმად ფლოტის ნიკოლოზ ობსერვატორიის დირექტორის თანამდებობიდან გენერალი კრილოვი. რადგან კავკასიის რკინის გზის ლიანდაგი გაფუჭდა „ზარეჩნაიასთან“, პირდაპირი მიმოსვლა კავკასიასთან შეწყდა.

ინგლისის თემთა პალატის წევრებმა მიმართეს წერილით დროებით მთავრობას: ვეგებებით სიხარულით რევოლიუციას, რომელიც არის ახალი ცხოვრების ცისკარი არა მარტო რუსეთისა, არამედ მთელი კაცობრიობისათვის; დროებითი მთავრობის განცხადება სხვათა ქვეყნების მითვისების წინააღმდეგ, სრულიად შესაბამება ინგლისის აზრსა, მთავრობა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო რევოლიუციის პრინციპების განმტკიცებით იხსნიან მთელ ევროპასო. მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს თემთა პალატის დეპუტატები სწერენ: ბედნიერი ვართ, რომ შეგვიძლიან მოგილოცოთ გამარჯვება აზრის, სიტყვის, კრებებისა და ბეჭვდის თავისუფლება, ციმბირიდან დაბრუნება პოლიტიკურ გადასახლებულთა, და პოლიტიკური უფლების ხალხის მიერ მოპოება. მოწოდება ევროპის ხალხთადმი მშვიდობიანობის აღსადგენად პოულობს თანაგრძნობას მეომარ ქვეყნებში. დარწმუნებული ვართ, რომ უდიდეს დაბრკოლებას მშვიდობიანობის წინააღმდეგ წარმოადგენს იმპერიალისტური მიდრეკილებანი გაბატონებული კლასებისა და მეომარ სახელმწიფოთა კავშირი და საერთაშორისო ერთობა დაამყარებს მშვიდობასა და ძმობას ხალხთა შორის.

პეტროგრადი, 14 აპრილი. სახალხო განათლების სამინისტრომ დაუგზავნა ცირკულიარები სამოსწავლო ოლქების მზრუნველებს; რომ გადაუდევან ვადა სამხედრო სამსახურში გასაწვევსა სტუდენტებს, რომელთაც უნდა ჩააბარონ სახელმწიფო გამოცდები უნივერსიტეტებში და სახალხო განათლების სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და მიუღიათ სწავლის დასრულების მოწმობები 1916 წლის უკანასკნელ სემესტრში 1917 წ. პირველ ივნისამდის, და რომელთაც მიუღიათ სწავლის დასრულების მოწმობები 1917 წლის საგაზაფხულო სემესტრში.

პეტროგრადი. 15 აპრილი. სახალხო სამინისტრო, ბძანებით ვ. პ. ნაუმენკო დაინიშნა კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწედ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რიგის დაცლა.

„რან. უტრო“ იუწყება: „რადგან მოსალოდნელია რიგის ევაკუაცია, ამიტომ თადარიგს ამ თავიდან უნდა შევუდგეთ. რიგიდან ხაზინას და სხვა და სხვა დაწესებულებათ ქ. ვორონცევში გადაიტანენ.

სავალდებულო სამხედრო ბეგარა ამერიკის შეერთ. შტატებში.

ნიუორკში 1 მაისს (ახალ სტილით) სენატმა მიიღო კანონ პროექტი სამხედრო სავალდებულო ბეგრის შემოღებისა.

კავკასიის ჯარების გადმოყვანა.

ენვერ ფაშას მოთხოვნით ევროპის ასპარეზიდან ფირხთი უაშის სარდლობით კავკასიისკენ გამოიგზავნა სამი დივიზია ახალი ჯარი.

ხმები.

ხმა გავრცელდა შავს ზღვაში გერმანეთის წყალ ქვეშა გაჩნდაო.

ომის ამბები.

ჰინდენბურგის ბრძანება. ფელდმარშალმა ჰინდენბურგმა ჯარის ძიმართ ბრძანება გასცა, რომ კრუაზილ ბუალეს ხაზთან უკან დახევა შესწყვიტონ. ჰინდენბურგი აუწყებს ჯარს, რომ უკანასკნელ ბრძოლის დღე დადგა და თან ყოფნა არ ყოფნის კითხვა დაისვაო.“

— ბულგარეთის სამხედრო მინისტრს გოდინევს უთქვამს: „ჩვენ ახლო მომავალში დავიწყებთ გადამწყვეტ შეტევას და მონასტირს დავიპყრობთო.“

ზავის გარშემო.

რას ნიშნავს სეპარატიული ზავი.

ლონდონში კონგრესზე სოციალ-დემოკრატმა მიჩელმა განაცხადა: „რუსეთმა, რომ გერმანიასთან სეპარატიული ზავი ჩამოაგდოს ეს ევროპის დემოკრატიზაციის ხელის შეშლა იქნებოდაო. მიჩელი დარწმუნებულია, რომ რუსეთი არა შემთხვევაში არ უღალატებს თავის მოკავშირეებს და უკანასკნელ დღემდე მათთან იბრძოლებს.

მღელვარება ბერლინში.

„ფორვერტს“-ი აღნიშნავს, მთავრობის დათმობამ ვერ დააკმაყოფილა ყველა გაფიცული მუშა სამხედრო ქარხნებისა მოაბიცის რაიონში.

შპანდაუში მუშებმა მთავრობის დათმობანი საკმაოდ არა სცნეს, უარს ამბობენ მუშაობის განახლებაზე, მოითხოვენ პოლიტიკურ რეფორმებს და გაჰგზავნეს ჰააზე ბეტმან-ჰოლვეგთან ამ საქმეთა შესახებ მოსალაპარაკებლად.

ბეტმანმა ჰააზე მიიღო, მაგრამ შუამდგომლობა პრუსიის კაბინეტის წინაშე, მუშათა სარეფორმო მოთხოვნათა განხორციელების შესახებ, მან არ იკისრა.

სოციალ-დემოკრატები და რადიკალები პროვინციის მუშათა შორის აგიტაციას ეწევიან და მოუწოდებენ მათ მოახდინონ საყოველთაო გაფიცვა შემდეგის ლოზუნგით: „პრუსიის საარჩევნო უფლების დაუყოვნებლივი რეფორმა, პარლამენტურ წყობილების შემოღება და საზავო პირობების ჩამოყალიბება."

სოციალისტების ყრილობა სტოკჰოლმში.

ცენტრალურ იმპერიების სოციალისტების მისიამ, რომელშიაც შედიან გერმანეთის მხრით—ვიქტორ ადლერი, რენნერი და ზეიცი, ხოლო უნგრეთის მხრით ვენტერი და გარამი, დაასრულა ბერლინში თათბირი, მთავრობათაგან დიდი უფლებებით აღჭურვილი მისია სტოკჰოლმს გაემგზავრა.

კითხვაა, მიიღებენ რუსეთის სოციალისტები მონაწილეობას სტოკჰოლმში მოწვეულ სოციალისტების კონფერენციაში თუ არა, ჯერ გადაწყვეტილი არაა.

სტოკჰოლმს წასვლას მხოლოდ ლენინი და მისი თანამგზავრები აპირებენ.

ჰოლანდიის სოციალისტების ბელადი ტრულსტრა სტოკჰოლმს გაემგზავრა.

მსოფლიო ომი

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 17 აპრილი. მთავარ ბანაკის ოფიციალი. კოველისა და როგატინსკის მიმართულებით სროლა გაცხოველდა. მთელს ასპარეზზე მზვერავ ჯგუფის მუშაობა გაძლიერდა.

რუმინეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 18 აპრილი. სროლაა. მზვერავნი ზვერავენ.

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 17 აპრილი. კალიტკის ჩრდილო-დასავლეთით, ჩაგილის მიდამოებში ჩვენმა მზვერავთა ჯგუფმა იერიში მიიტანა ოსმალთა პოზიციებზე და ხიშტებით გააქცია ისინი. დანარჩენ ასპარეზზე ჩვეულებრივი სროლაა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 17 აპრილი. ოფიციალი. ღამით ხდებოდა ძლიერი საარტილერიო სროლა. ჩვენი ბატარეები განაგრძობდენ გერმანელების სიმაღლეების დაშენას განმანადგურებელის ცეცხლის საშუალებით. მტრის რამდენიმე ცდამ იერიში მოეტანა ჩვენს თხრილებზე და მცირე სადარაჯოებზე უნაყოფოთ ჩაიარა. გიურტებიზის მიმართულებით კორნილიეს მთის მახლობლათ შამბეტის სამხრეთით მტერი დავამარცხეთ. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში საყურადღებო არაფერია. მფრინავებმა ღამის განმავლობაში რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო დიუნკერკისა და ბულგარის მიდამოებში. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა. ეტერნეგიურანს ესროდენ. მშვიდობიან მცხოვრებთაგან რამოდენიმე მსხვერპლია. 16 აპრილს, ჩვენმა აეროპლანებმა ენერგიულად იმოქმედეს და ძლიერათ უშენდენ მტრის ბანაკებს. საჰაერო ბრძოლის დროს დაიღუპა ერთი ჩვენი საჰაერო ბუშტი. ამფეთქებელ ნივთიერებათა საშუალებით ცეცხლი გაჩნდა რკ. სად. პენფარედესთან და მტრის ბანაკებში.

სპარსეთში.

სევასტოპოლი, 16 აპრილი. უკანასკნელ დღეებში შავი ზღვის ფლოტის სუბუქი გემები თავს დაესხენ ანატოლიის სანაპიროებს. წამოასხეს ტყვეებიც. ამბობენ კონსტანტინეპოლში სასურსათო კრიზისია და უწესოება მალე იჩენს თავსო.

პეტროგრადი 16 აპრილი. ბანაკიდან იტყობინებიან: ოფიცერთა თაოსნობით ბანაკში იწყება ჯარისა და ფლოტის ოფიცერთა კავშირი. კავშირის წარმომადგენელთა ყრილობა 5 მაისისთვისაა დანიშნული.

ლონდონი. 16 აპრილი. ბრიტანეთის ბანაკის სალამოს ოფიციალი ცნობა: 15 აპრილს საფრანგეთში მთელი დღის განმავლობაში გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა მდინარე სკარპას, აშევილსა და ვიმს შუა. ბრიტანეთის ჯარმა ხელთ იგდო იარლეანგოვილე და აგრეთვე ორი მილის მანძილზე გამიმული მტრის პოზიცები. გავრელის ჩრდილოაღმოსავლეთით წავიწიეთ, ხოლო გრენლადის გორაკის დასავლეთ ფერდობზე ჩვენ დავიკავეთ ნოშილარის ჩრდილოეთით მდებარ ადგილი. გერმანელებმა რამდენიმე გააფრთებული კონტრიერიში მიიტანა, მაგრამ დიდათ დაზარალდენ. რამდენიმე ასეული ტყვე წამოვასხით. გუშინ ჰაერში ბრძოლის დროს გერმანელების სამი ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ, ხოლო მეოთხე საზენიტო იარაღების საშუალებით გავაფუჭეთ. ერთი საჰაერო ბუშტიც გავანადგურეთ. ჩვენ სამი ჰაეროპლანი გვაკლია.

ლონდონი. 17 აპრილი ოფიციალი. დილით ძლიერი ბრძოლის შემდეგ ოპის სამხრეთით ჩვენ დავიკავეთ მტრის თხრილები. მტერმა დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია მოიტანა ჩვენზე რამდენიმე კონტრიერიში. ტყვეთ წამოვიყვანეთ 976 ტყვე, მათ რიცხვში 16 ოფიცერი. წასულ ღამით გერმანელები შევავიწროვეთ. ჰორნეს აღმოსავლეთით სენკანტენის ჩრდილოს ღასავლეთით მომხდარ ბრძოლის დროს დაიღუპა რამდენიმე კაცი, წამოვიყვანეთ ტყვეები. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოვაგდეთ გერმანელების 2 ჰაეროპლანი, მესამე კი დავაზიანეთ ჩვენი სამი მფრინავი აღარ დაბრუნებულა.

პარიზი. 16 აპრილი. ოფიციალი. შემანდედის მიმართულებით გერმანელების არტილერია გვესროდა, ჩვენ ენერგიულად უპასუხებდით.

რუმინეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 18 აპრილი. ოფიციალი სროლა და მზვერავების მოქმედებაა.

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 18 აპრილი. ოფიციალი. ვანაუდაგის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქურთების საკმაოდ ძლიერმა რაზმმა შეავიწროვა ჩვენი მოწინავე რაზმი.

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. 18 აპრილი. ბრძოლის დროს წარმოებულ ძლიერი ოპერაციების შემდეგ გავამაგრეთ ჩვენი პოზიციები. მდ. იპრის ჩრდილოეთით ჩვენ მოვახდინეთ მტერზე თავდასხმა. წამოვიყვანეთ 18 ტყვე ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ ტყვიის მფრქვეველები.

ახალი ამბავი

22 აპრილის შესრულდება ნახევარი წლის თავი ისტორიკოს თ. ჟორდანიას გარდაცვალებიდან. 23 აპრილს თბილისში განსვენებულის სულის მოსახსენებლად დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

◆ უპურობა. ქალაქში ისევ გრძელდება უპურობა. მეპურენი მხოლოდ დილით აცხობენ პურს და შემდეგ დაკეტილი აქვთ საცხობი.

სოფლებიდან ქალაქში სანოვაგე ძლიერ ცოტა შემოდის. ამ ბოლო დროს ყველი კვირაში მხოლოდ ერთხელ შემოაქვთ ყველის ფასმა საგრძნობლად აიწია. წინაიდ ჩარექი (2 გირ. ნახ.) ღირდა შვიდი აბაზი, ამ ჟამათ კი ორ მანეთად ძლივს იშოვით.

◆ წელს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიაში კურსი დაასრულა და სიმწიფის მოწმობა მიიღო 46 მოსწავლემ აქედან 36 ქართველია. მოგვყავს მათი გვარები: ადამია დათა, ასათიანი ნიკოლოზი, ბარქაია გიორგი, ვეფხვაძე კონსტანტინე (ვერცხლის მედლით), გაჩეჩილაძე გრიგოლი, გეგეჭკორი ვასილი, გოკიელი ადოლფი, ჯაჯანიძე მიხეილ, (ვერცხლის მედალით), ჯაფარიძე დათა, დოლიძე ნიკო, ჟვანია ლავრენტი, კაპანაძე რომანოზ, (ვერცხლის მედალით), მგალობლიშვილი დიმიტრი, მუხინი მიხეილი, მუხინი ნიკო, ნაცვლიშვილი დიმიტრი, (ვერცხლის მედლით), პიპია გიორგი, სუხარებსკი ლაზარე, (ვერცხლის მედლით), ხარტიჩიკი პეტრე, ჩაჩანიძე ნიკოლოზი, ჩხაიძე გიგიორგი, შნეიდერი ვალერიანე, ადანაია კოსტა, ალიხანიანცი ლეონ, ანთელავა ბორისი, არუტიანცი სურენ, ბლიუმხაკი ისაკი, გაბრიჩიძე შალვა, ჯანკვაძე შალვა, ჯუღელი ლონგინოზ, კვირაია ნიკოლოზი, ძიმისტარაშვილი შალვა, კოპაძე პეტრე, მაღლაკელიძე მიხეილ, მკურნალი კირილე, მიშიაშვილი იოსებ, (ოქროს მედლით), ნაზაროვი ალექსანდრე, ნიჟარაძე ალექსანდრე, (ვერცხლის მედლით) პუშკარევი ალექსანდრე, თაყაიშვილი ალექსი, ჰანტურაძე ევგენი, ჩაჩავა მიხეილი, ჩოგავაძე მიხეილი, (ვერცხლის მედლით) შალაბაგიანცი ეგიშ, ელიავა მიხეილი, და ეშუხვარი დათა.

რუსეთის ერთ კუთხეში. პეტროგრადში გაზ. რუსკ. გოლოსის დეპეშების დარბაზში 13 აპრილს ნიკო ნიკოლაძემ წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: თავისუფალი საქართველო.

◆ ქალაქის მცხოვრებთა აჭერა. დღეს 20 აპრილს საღამოს 6 საათზე კლასიკური გიმნაზიის შენობაში მოხდება ქუთაისის ყველა რაიონების და რეგისტრატორების საერთო თათბირი ქალაქი დაყოფილია 9 რაიონად. რაიონის წარმომადგენლები: 1. მისე ვაჩიბერიძე, 2. აკაკი ნაცვლიშვილი, 3. ივანე მდივანი, 4. აბაშიძე, 5 კუჭავა, 6. ბერუჩევი, 7. მახარაშვილი 8 ალავიძე, 9. სიმ. ავალიანი. სათადარიგო ნაწილის წარმომადგენლად არჩეულია რიჟამაძე, მხოლოდ ამ რაიონის წარმომადგენლებად ანნა რონიშვილი, და ხმალაძე ვასილი.

◆ სოხუმი. თანახმად აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა დაატყვევეს სამრეწველო შკოლების მეთვალყურე ცნობილი შავრაზმელი ალიფეროვი, რომელიც დიდი ხანია ეროვნებათა შორის შუღლსა სთესდა და ახლა თავისი მოქმედებით კონტრ-რევოლიუციას ნიადაგს უმზადებდა.

19 აპრილს ქუთაისის სადგურზე დაიჭირეს რამდენიმე ფუთი შაქარი და სხვა სანოვაგე, რომელიც სხვა და სხვა პირებს ქალაქიდან გაქონდათ. რადგანაც აღმასრულებელ კომიტეტის სასურსათო განყოფილების განკარგულებით აკრძალულია ქუთაისიდან სურსათის გატანა, ამიტომ ხსენებულ პირებს სანოვაგე ჩამოერთვათ და იგი სასურსათო განყოფილების განკარგულებაში გადავიდა.

◆ მშობლები ჯარისკაცის ნიკოლოზ მაქსიმესძე ხუჯაძისა, რომელიც მოქმედ არმიის მე-7 კორპუსის 34 დივიზიის 134 ფეოდოსიის ქვეითა პოლკის, მე 2 როტის მე-4 ვზვოდში მსახურებდა და რომლის შესახებ ეს ნახევარი წელიწადია ცნობა არ მიგვიღია, ვსთხოვთ მის ამხანაგებსა და ნაცნობთ, შეგვატყობინონ, თუ რა დაემართა ან სად იმყოფება ხსენებული ჯარისკაცი ნიკოლაი ხუჯაძე. ცნობა მოგვაწოდეთ შემდეგის მისამართით: ქუთაისი, ძველი თფილისი, ქუჩა, ანდრო იოსებისძე კანდელაკი.

თბილისი.

—შეთანხმება ავტოკეფალურ საკითხში. 15 აპრილს ქართულ ეკლესიის მართველ კომიტეტის წარმომადგენლებთა პროფ. ბენეშევიჩთან ერთად კრება ჰქონდათ ქართულ ეკლესიის უფლებების გამოსარკვევად რუსეთის იმპერიაში. 17 აპრილს ამ კომიტეტის წარმომადგენლებმა პროფ. ბენეშევიჩს წარუდგინეს დამზადებული ტექსტი რომელშიაც მიღებულია ეროვნული საფუძველი ავტოკეფალიისათვის.

—ჯაშუშის შეპყრობა. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით 16 აპრილს შეიპყრეს არუთიუნ (არტემ) გასპარიანცი, რომელიც „ოხრანკის" საიდუმლო თანამშრომელი აღმოჩნდა. იგი „ოხრანკა"-ში მსახურებდა „ჰინჩაკისტთა" პარტიის წევრად და ქართულ-სომხურ გაზეთებშიაც სწერდა "არტემიუსის" ფსევ-

—ეპისკოპოს კირიონის კანდიდატურა. „ვოზროჟდენიეს" პეტროგრადიდან ატყობინებენ, რომ ადგილობრივ პროფესორთა და საეკლესიო კანონისტთა კორპორაციას პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტის კათედრაზე წამოყენებულია კანდიდატურა ვიტებსკისა და პოლოცკის ეპისკოპოზის ყოვლად სამღვდელო კირიონისა. უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს ლვოვს უკვე შეუძლევია ეს კათედრა ეპ. კირიონისათვის. მაგრამ ყოვლად სამღვდელოს ჯერ გადაწყვეტილი პასუხი არ მიუცია.

სასურსათო საუბნო კომიტეტის არჩევა.

მიმდინარე აპრილის 16-ს ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დარბაზში მოხდა ქუთაისის სამთო ნაწილის მცხოვრებთა კრება შესახებ ამავე ნაწილის სასურსათო კომიტეტის წევრების არჩევისა.

კრება გაიხსნა დილის 9 საათზე ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წევრების ბ. ბ. ლაზარე ხმალაძის და იოსებ კაკაბაძის თაოსნობით. ბ. კაკაბაძემ კრებას აუხსნა, რომ მისი მოწვევის მიზანი არის სასურსათო საქმის გამორკვევა და მოწესრიგება და მოუწოდა ყველას მხურვალე მონაწილეობის მიღება ამ საქმეში. ბ. კაკაბაძემ კრებას მისცა წინადადება, ამოერჩიათ თავმჯდომარე კრებისა. დაასახელეს პლატონ მოდებაძე და ლაზარე ხმალაძე. კრებამ დიდის უმრავლესობით აირჩია თავმჯდომარეთ ბ. ხმალაძე და თავმჯდომარის ამხანაგათ და მდივნათ ბ. მოდებაძე.

ბ. ხმალაძემ შემდეგის სიტყვებით მიმართა კრებას: მოქალაქენო! ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მონდობილობით მოგიწვიეთ თქვენ დღეს მნიშვნელოვანი საკითხის, სასურსათო საქმის, მოსაწყობათ. რუსეთში თანამედროვე ომის დაწყებამდი სასურსათო საკითხს დიდი ადგილი არ ეჭირა, რადგანაც რუსეთის პური მთელ ევროპას ჰკვებავდა და მასთან ერთად ჩვენც თავზე საყრელათ გვქონდა. დღეს კი სასურსათო საქმე რუსეთში მეტად დიდ მნიშვნელოვან საკითხათ გახდა. განა დღეს პური არ არის რუსეთში? არის ძალიან, ბევრია რადგანაც რუსეთის პური ომის დაწყების შემდეგ სხვა ქვეყნებში აღარ გააქვთ და მთელი რუსეთის პური რუსეთშივე რჩება. მაგრამ ძველი რეჟიმის წყალობით და მისი უსისტემობით ეს პური მილიონ ფუთობით დაგროვებული ბეღლებში ლპება, და ხალხი კი შიმშილით იხოცება.

ძველი რეჟიმი დღეს აღარ არის და ჩვენ ჩვენი თავის ბატონ პატრონი ჩვენვე უნდა გავხდეთ; თვითონ ჩვენ უნდა გამოვძებნოთ საშვალება და მოვაწესრიგოთ სასურსათო საქმე. ამისთვის საჭიროა ამოვირჩიოთ ოცი კაცი. ჩემის აზრით, განაგძო ბ ხმალაძემ, ჯერ უნდა აირჩიოს ათი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც შემდეგ ამოირჩევს ოცს კანდიდატს კომიტეტის შესადგენათ. ან კიდევ შეიძლება თვით კრებაზე დაასახელონ კანდიდატები, არა უმეტეს ორმოცი კაცისა, რომლების გვარებსაც ჩამოსწერ ამ საკლასო დაფაზედა მერე ამ დასახელებულთ ვუყრით კენჭს. რიცხვი ორმოცი იძულებითია, ვინაიდგან ჩვენს განკარგულებაში არის მხოლოდ ორმოცი ყუთი.

ამ წინადადებებს უმეტესობა არა დაეთანხმა და გაიმართა ცხარე კამათი, რის შემდეგ გადასწყვიტეს ყოველივე ქუჩიდგან ამოერჩიათ ორ ორი კაცი. მაგრამ არც ამ გვარმა საშვალებამ მიაღწია თავის დანიშნულებას, რადგანაც სასურსათო საგანზე დაწყებულმა მსჯელობამ პარტიული ხასიათი მიიღო და თითოეულმა მათგანმა თავისი კანდიდატები წამოაყენა. ამის გამო, როცა კრებისაგან წარმოდგენილი ამორჩეულთა სიები გადასინჯეს, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ქუჩებში ორი კაცის მაგიერ 4-6 კაცი დაესახელებინათ, პარტიებათ დაყოფილი.

ამ გარემოებამ შექმნა ერთმანეთ შორის დაუწყნარებელი კამათი, რომელმაც ორ საათზედ მეტი გასტანა.

ბოლოს, როგორც იყო, პარტიათა შორის შეთანხმება მოხდა და შეადგინეს სია კომიტეტის წევრთა კანდიტატებისა ოცი კაცისაგან, იმათში ათი სოციალ დემოკრატისაგან, ხუთი სოც. ფედერალისტებისაგან- სამი ნაციონალ-დემოკრატებისაგან ორი სოც. რევოლიუციონერებისაგან. მათ კიდევ დაუნიშნეს ხუთი კანდიდატი, იმათში ორი სოც. დემოკრატებისაგან და თითო კაცი დანარჩენ პარტიებისაგან ამ 25 კაცს უყარეს კენჭი ერთი ყუთის საშვალებით. კენჭების დათვლის შემდეგი სია მიღებული შეიქნა 213-თ 100-ს წინააღმდეგ.

უნდა შევნიშნო, რომ 16 აპრილის კრება სამთო უბანში უფრო მღელვარებას იჩენდა, ვიდრე საქმიანობას. კრება იმდენათ დიდი იყო, რომ თავმჯდომარე ვეღარც კი აჩერებდა მას. მღელვარება გამოიწვია პარტიულ ნიადაგზე აღძრულმა კამათმა. არ მესმის, რა დამოკიდებულება აქვს სასურსათო საქმეს პარტიულ საქმესთან. სურსათი ყველასათვის ერთგვარ საჭიროებას წარმოარგენს კუჭის დასაკმაყოფილებლათ, ყველასათვის აუცილებელი საჭიროა არსებობისთვის, და ამისთვის აქ პარტიულ ნიადაგზე მსჯელობას ადგილი არ უნდა ქონდეს.

დრო არის ქართველებმა უსაფუძლო კინკლაობას თავი დაანებოთ და ნამდვილ საქმეს მოვკიდოთ ხელი.

ი — ი.

ეროვნული კითხვა.

უკრაინის კონგრესი.

უკრაინის კონგრესმა შემდეგი დადგენილებანი მიიღო:

1) უკრაინის ეროვნული ყრილობა აღიარებს, რომ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის უფლება, დასტური მისცეს როგორც რუსეთის ახალ სახელმწიფო წყობილებას, ისე უკრაინის ავტონომიის და რუსეთის რესპუბლიკის ფედერატიულად მოწყობას, მაგრამ ფიქრობს, რომ დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ახალი წესწყობილების მიმხრე-უკრაინელები უმოქმედოდ ვერ დარჩებიან, არამედ მათ მართებთ მცირე რიცხოვან ერებთან შეთანხმებით დაუყოვნებლივ მიუყარონ საფუძველი უკრაინის ავტონომიურ ცხოვრებას. ყრილობა ეგებება დროებითი მთავრობის სურვილს საზოგადოებრივ ძალთა შეკრება-შეკავშირების შესახებ და გარდაუდებელ საჭიროებად სცნობს უკრაინის ოლქებისა, ქალაქებისა და საზოგადოებრივ ჯგუფთა წარმომადგენლებისაგან უკრაინის საბჭოს შედგენას, რის თაოსნობაც უკრაინის ცენტრალურმა რადამ უნდა იკისროს.

1) უკრაინის ყრილობა აღიარებს ყველ ერის თვითგამორკვევის უფლებას და ჰფიქრობს, რომ საზღვარი სახელმწიფოთა შორის მოსაზღვრე მცხოვრებთა სურვილის თანახმად უნდა დაიდოს და ამის უზრუნველ საყოფად სამშვიდობო კონფერენციაზე მოწვეულ უნდა იქმნენ არა მარტო მებრძოლ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, არამედ იმ ერთა წარმომადგენლებიც, რომელთა ტერიტორიაზე ომი სწარმოებს.

უკრაინის კონგრესის წინ.

კიევში აპრილის პირველ რიცხვებში საპარტიოთაშორისო სოციალისტურ კრებაზე უკრაინის წარმომადგენლებმა განაცხადეს თავისი განზრახვა, მოიწვიონ უკრაინული დამფუძნებელი კრება უკრაინის ტერიტორიულ ავტონომიის დასამყარებლად მანამ, სანამ ამ კითხვას გადასწყვეტდეს სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება.

მუშათა დეპუტატების საბჭოს და კარისკაცთა დეპუტატების წარმომადგენლებმა ისეთი განზრახვის წინააღმდეგ ენერგიული პროტესტი გამოაცხადეს. უკრაინელ სოციალისტების განზრახვამ შეაშფოთა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რის გამო აღმასრულებელმა კომიტეტმა გავლენიან ორგანიზაციების გამგეობათ, შეერთებული კრება გამართა, სადაც უკრაინის ცენტრალურ რადის წარმომადგენლები მოიწვია იმის გამოსარკვევად, თუ რა არის ნამდვილი მისწრაფება უკრაინის პასუხისმგებელ მოღვაწეობისა.

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელმა სთხოვა პასუხი მიეცათ მისთვის შემდეგს კითხვაზე: მართალია თუ არა ხმები იმის შესახებ, რომ არსებობს ძლიერი პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელსაც მიზნად დაუსახავს, დაუყონებლივ დაადგინოს უკრაინის დემოკრატიული რესპუბლიკა და შეიძლება უკრაინის დამოუკიდებლობაც კი გამოაცხადოსო?

უკრაინულ რადის თავმჯდომარემ, პროფ. გრუშევსკიმ, კითხვითვე მიუგო:

— ვისთანა გვაქვს ჩვენ აქ საქმე: მეგობრებთან თუ მოწინააღმდეგებთან? აღიარებთ თქვენ ხალხის უფლებას, მოაწყოს თავისი ცხოვრება თავის ტერიტორიაზე, თუ ძველი გარუსების პოლიტიკის წარმომადგენლები ხართ? გთხოვთ თავდაპირველად გაგვაგებინოთ, როგორ უყურებთ თქვენ უკრაინის ხალხის თვითგამორკვევის უფლებას?

დასასრულ გრუშევსკიმ პროტესტი განაცხადა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა მუქარის წინააღმდეგ, რომ, თუ 6 აპრილს მოსაწვევი კონგრესი თავის თავს დამფუძნებელ კრებად გამოაცხადებს, ის ჯარისკაცთა ხიშტებით იქნება გარეკილიო.

ჯარისკაცთ. ცენტრალურ რადის წარმომადგენელმა გამოაცხადა, უკრაინელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა შეადგინეთ ამხანაგობა, სადაც ხიშტების შესახებ მითქმა-მოთქმამ დიდი შეშფოთება გამოიწვიაო.

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა: შფოთს იწვევს რა საკითხის პრინციპიალური მხარე, არამედ ეროვნულ თვითგამორკვევისათვის განსახორციელებლად წარმოებული მოქმედებაო.

ებრაელთა ორგანიზაციების წარმომადგენელმა განაცხადა: თავისუფლების განმტკიცებისა და სახელმწიფო ინტერესი მოითხოვს, რომ ახალი ცხოვრების მშენებლობა სწარმოებდეს არა მტაცებლობით, არამედ სახელმწიფო სამართლის გზითაო.

უკრაინულ რადის წარმომადგენელმა განმარტა, უკრაინის ავტონომიის დაწესება შეეძლება კრებას, სადაც მონაწილეობას მიიღებს უკრაინის ყველა მცხოვრები ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლადაო.

ჯარისკაცთა დეპუტატების წარმომადგენელმა სთქვა: სამხედრო გარნიზონის აზრით მხოლოდ სრულიად რუსეთის დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძნებელ კრებას შეუძლია გადასწყვიტოს კითხვა რუსეთის მომავალ წესწყობილების შესახებაო.

უკრაინის მწერალმა, სოც.-დემ. ვინნიჩენკომ, განუცხადა, კონგრესი შტაცებლობითს მიზანს არ ისახავს, ის დამფუძნებელ კრებად არ იქნება გამოცხადებულიო.

მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელი ამტკიცებდა, უკრაინაში თავი იჩინა ძლიერმა სეპარატიულმა მისწრაფებამ, რომლის შეკავება გვიხდებაო.

კიევის გარნიზონის სამხედრო საბჭოს წარმომადგენელმა მოითხოვა, უკრაინელებმა უარი სთქვან ავტონომიის დაუყოვნებლივ განხორციელებაზე, დეზორგანიზაციას მოვერიდეთ და ჩვენი ძალა სამშობლოს დაცვას მოვახმაროთო.

მწერალ ვინნიჩენკოს აზრით სეპარატიული მისწრაფება დასამარებულად უნდა ჩაითვალოს. თუ კონგრესის მოწვევა დეზორგანიზაციას შექმნის, უკრაინელები წამსვე უარყოფენ არჩეულ გზასაო.

პროფესორმა გრუშევსკიმ განმარტა მომავალ კონგრესს მიზნადა აქვს, დასტური მისცეს ცენტრალურ რადას იგი ცალკე ორგანიზაციებისაგან თუმცა უკვე შეწყნარებულია, მაგრამ უფრო ავტორიტეტულ დასტურს მოითხოვს, ყველა ჩვენი მოქმედება ავტონომიის დასამყარებლად სწარმოებს დროებითს მთავრობასთან სრულ კონტაქტით და მიზნადა აქვს დასახული დემოკრატიულ თავისუფლების განმტკიცება. ვიცით, რომ უკრაინაში მოიპოებიან შოვინისტურ მიმართულების მომხრენი, მაგრამ იმათ ჩვენ ვებრძვით და ეროვნულ დამნაშავებად ვთვლით.

რუსეთის სოც.-დემ. წარმომადგენელმა განაცხადა: არცერთ ერს არა აქვს უფლება, რაზომ დიდიც არ უნდა იყოს იგი რიცხვით, რაიმე პოლიტიკური წესწყობილების დადგენა. ასეთი აქტი შეიძლება მოჰყვეს შედეგად მხოლოდ საყოველთაო რეფერენდუმსაო.

ვინიჩენკო უკრაინის სოც.-დემ. სახელით წინამორბედ ორატორს უერთდება.

მილიციის უფროსმა იკითხა: რაოდენ ძლიერია მიმართულება, რომელიც აღიარებს ლოზუნგს: „უკრაინა უკრაინელთათვის“.

გრუშევსკიმ უპასუხა, ასეთი მიმართულება არსებობს, მაგრამ იგი ერთობ სუსტიაო.

სამხედრო საბჭოს წარმომადგენელმა სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ ყოველი გაუგებრობა მოისპო.

ბურიატების რეზოლიუცია.

ირკუტსკი. ქ. ირკუტსკში მოხდა ბურიატების ყრილობა, რომელზეც დაადგინეს: მოითხოვონ თავისთვის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, ბურიატული სეიმი საკანონმდებლო უფლებით სამოქალაქო მიწის და სხვა საქმეთა მოსაგვარებლად.

ჰელსინგფორსი. 10 აპრილი. სეიმში შეტანილია დეპუტატთა ერთი ჯგუფისგან რვა საათის სამუშაო დღის კანონ პროექტი, რომელიც შეიცავს 64 მუხლს.

ფინეთის სენატი შეუდგა ფინეთში მცხოვრებთა უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესობის საკითხის განხილვას, მან გადასწყვიტა გადასწყვიტოს ეს კითხვა ამ მოკლე ხანში, რათა მას მიეცეს საშვალება შეიტანოს სამეურნეო მართველობის დირექტივებში.

მართმადიდებელ მორწმუნეთა უწყება შეუდგა მუშაობას მართმადიდებელ ეკლესიის ეკონომიურ მდგომარეობის გამოსარკვევად ეკონომიურ წყობილების იხედვით. მუშაობა, რომელიც სწარმოებს ამ უწყებაში წარუდგენს დამფუძნებელ კრებას საკითხს ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის შესახებ. საუწყებო მუშაობა გამოდგება მხოლოდ სრულიათ რუსეთის საეკლესიო არჩევნების განხორციელებისათვის და ეკლესიის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის მატერიალურის მხრივ.

მოსკოვის ჯარი ახალი ფიცის მიღების შემდეგ

მოსკოვი. 14 აპრილი. 1 მარტს მოსკოვის ჯარმა მიიღო ფიცი ახალი მთავრობის ერთგულებაზე. მას შემდეგ პოზიციებზე მორიგი რაზმების გზავნა წესიერად სწარმოებს.

მორიგი რაზმების ბრძოლის ველზე გაგზავნა ზეიმით ხდება. რაზმები აცილებენ საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლების.

მოწერილი ამბები

ქ. ფოთი.

7 აპრილს შესდგა ფოთის ვაჭარ—მრეწველთა კავშირის დამფუძნებელი კრება. მრავალ რიცხოვანმა კრებამ წესდება შეიმუშავა, აირჩია კომიტეტი 9 კაც. და სარევიზიო კომისია 3 კაც. ამასთანავე ვაჭარ—მრეწველთა კავშირმა ერთხმად დაადგინა გაუგზავნოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავ. ლვოვს და მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს კ. ჩხეიძეს შემდეგი შინაარსის დეპეში: „ფოთის ვაჭართა და მრეწველთა კავშირმა, რომელიც შესდგა 7 აპრილს, თავის დამფუძნებელ კრებაზე ერთხმად დაადგინა გამოუცხადოს დროებით მთავრობას თავისი გულწრფელი ნდობა და გაუწიოს მას დახმარება სახელმწიფო და საზოგადო ცხოვრების რეფორმების განხორციელებაში, რომელნიც აგებული იქნებიან დემოკრატიულ საფუძველზე და, აგრეთვე, დაუყონებლივ იქნას მოწვეული დამფუძნებელ კრება.

ამასთანავე ფოთის ვაჭარ—მრეწველთა კავშირი ღრმად დარწმუნებულია, რომ თავისუფალი რუსეთი ძველ წესწყობილობით და ჩაგრულ ეროვნებათა, მათ რიცხვში, მრავალ ტანჯულ ერს ივერიისას, მიანიჭებს თავისუფალ ცხოვრებას ტერიტორიულ ავტონომიის სახით!“

ვაჭარ—მრეწველთა კავშირი ენერგიულად შეუდგა შემუშავებულ წესდების განხორციელებასგან (კავშირმა) რამდენიმე მუხლი წესდებისა უკვე სისრულეში მოიყვანა, განზრახული აქვს, ამ მოკლე ხანში დაარსდეს კლუბი, სადაც მოეწყობა სხვა და სხვა თემებზე ლექციების კითხვა.

ქ. ფოთი შ. კ-შვილი.

ზემო სვანეთი. ს. ლატალი.

იმ მრავალ ფეროვან უბედურებათა აღწერა, რომელთაც ამ ბოლო დროს სვანეთი განიცდიდა, შეუძლებელია სხვათა შორის იქ, სოფ. ლატალში, წარსულ წლის ივანობის თვეში გამოჩნდა ერთი გარყვნილი და, თავის წარსულით სვანეთში კარგათ ცნობილი, დედაკაცი, ტერეზია ხვინთელიანი, რომელმაც თავის ქადაგებით დაარწმუნა ყრუ ხალხი იმაში, რომ თითქოს მას ღმერთი გამოეცხადა და დაავალა მას, მოუწოდოს ხალხს, რათა მან პარასკევ-შაბათობით არ იმუშაოს და ცოდვების მოსანანებლათ მრავალი მსხვერპლი შესწიროს ღმერთს. დასამტკიცებლათ თავისი სიმართლისა იწინასწარმეტყველა ხალხში, ამ მოკლე ხანში ბავში დაიკარგება. თავის თავიც ორსულათ ადიარა. რამოდენიმე დღის შემდეგ ერთ ქალს დაეკარგა სამი თვის ბავშვი. ყველა ხელს უწყობდა და თანაგრძნობას უცხადებდა ბავშის უბედურ დედას. შემოდგომაზე ქალი სამი დღით დაიკარგა. ხოლო, როცა შინ დაბრუნდა, განაცხადა, მოსარჩენათ ღვთის მშობელმა უნდა წამიყვანოსო, ახალ დაბადებული მისი შვილიც ვითომ ღვთისმშობელს უნდა წაეყვანა გასაზრდელად და მხოლოდ 25 დეკემბერს უნდა დაებრუნებინა ამისთვის!

დანიშნულ დღეს, მართლაც, წირვის დროს ეკლესიაზე მოიყვანა ბავში, რომელსაც ყელზე წმ. გიორგის ხატი ეკიდა და სთქვა: წუხელი ჩემი შვილი ღმერთმა შინ მომიყვანაო. ბევრი დარწმუნდა იმაში, რომ ეს ბავში ის იყო, რომელიც მისი წინასწარმეტყველობის შემდეგ ერთ საბრალო ქალს ღამე აკვნიდან მოსტაცა ვიღაცამ. მაგრამ სანამ ვინმე ყურადღებას მიაქცევდა ამ საქმეს დედაკაცმა ბავში დამალა და ხალხს გამოუცხადა, კვლავ ღმერთმა წაიყვანაო. ამის შემდეგ მარჩიელმა ქალმა და მისმა ქმარმა დაიწყეს იმ ხატით, რომელიც ბავშს ეკიდა, სოფელ-სოფელ სიარული და ფულის ბოჭვა და როდესაც 3,000 მანეთამდე იშოვეს, ქმარი ქუთაისისკენ გაემგზავრა სავაჭროთ. ბოქაულმა მას სამი ჩაფარი დაადევნა. ერთი მათგანი, როდესაც ის ტყეში მარტო მიდიოდა, დაეწია ვიღაც უცნობ თოფიან კაცს. ეს კაცი ყაჩაღი ყოფილა და ჩაფარი, მისი დამჭირავი გონებია, ხოლო უკანასკნელი მას არ იცნობდა. ყაჩაღმა დაიჩოქა, ესროლა თოფი და ჩაფარი იქვე მოკლა ხოლო თვითონ გაიქცა. მარჩიელმა ქალმა ეს გარემოებაც თავის სასარგებლოთ გამოიყენა და დარწმუნაა ხალხი, ეს ჩაფარი ჩემი ქმრის დასაჭერად იყო გაგზავნილი და ღვთის განგებით იქნა მოკლულიო, რის შემდეგ კიდევ უარესად დაუწყო ხალხს ტყავის გაძრობა. თუ ვინმე მის საწინააღმდეგოდ იტყოდა რამე, ემუქრებოდა, აღდგომა დღეს ჩემი შვილი დაბრუნდება და ურწმუნო თომანი გაქვავებულ იქმნებიანო. მთელი სვანეთი მოუთმენლად ელოდა აღდგომას, და ამ დღეს ყოველ მხრიდან ხალხმა თავი მოიყარა ქალის სოფელში. ხოლო არც იმ დღეს და არც მეორე დღის ბავში არ გამოჩენილა და აღელვებული ხალხიც არ იშლებოდა. ქალი საფრთხეში ჩავარდა, მაგრამ ორშაბათს, შუაღამეს მოუყვანია ერთი თავისი ნათესავი ბავში და ახალ შეკერილ აბრეშუმის ტანისამოსში გამოწყობილი, პირ შეხვეული გამოიყვანა მეორე დღეს ხალხში. სამღვდელოების წარმომადგენლებმა და სხვა „ინტელიგენტებმა“ მოსთხოვეს ქალს, პირი შეეხსნა ბავშისთვის, მაგრამ ის არ დასთანხმდა. ხალხი მიხვდა ეშმაკობას, დაუპირეს დაჭირვა ქალს, მის ქმარს და ბავშსაც, მაგრამ იქვე შეიარაღებულმა ბრბომ ქალისა და მისი ქმრის ნათესაობამ, იხსნა თავი. სამღვდელოება რომ არ ჩარეოდა, სისხლის ღვრა მოხდებოდა. ყველა დარწმუნდა ამ საქმის სიყალბეში. საწყალი დაკარგული ბავშის მშობლები თხოულობენ მარჩიელ ქალისაგან შვილის დაბრუნებას მაგრამ ამაოდ მოსალოდნელია სისხლის ღვრა და უბედურება. საჭიროა, ეხლავე იქნეს ჯეროვანი ზომები მიღებული ასეთი ბოროტების წინაღმდეგ.

ეგნატე ბაბლიანი.

რევოლიუცია და გლეხები.

ქ. ოდესაში სწარმოებს რუსეთის გლეხთა ყრილობა. ჯერჯერობით ყრილობას 3,000 მეტი დელეგატი დაესწრო.

ყრილობაზე დიდ კამათს იწვევს სოფლის აღმასრულებელ კომიტეტების კითხვა. ორატორები ხსენებულ კომიტეტებს უნდობლობას უცხადებენ და მათთვის სასტიკ კონტროლს ითხოვენ. გლეხთა დელეგატები აღნიშნავენ, რომ დამფუძნებელ კრებაზე აუცილებლად საჭიროა გამოცდილ პირთა გაგზავნა და მანამდი კი დროებითს მთავრობას ყველაფერში მხარი დაუჭიროთო.

ამ კითხვამ ორად გაჰყო ყრილობა. ერთი მხარე აცხადებდა, რომ მთავრობას თუ იგი ეროვნულ უთანხმოებას ხელს შეუწყობს, ბრძოლა გამოეცხადოსო. ყრილობამ დაადგინა, თუ რომელიმე დიდი მამულის პატრონი ხელსაყრელ პირობებში არ დაუთმობს გლეხს სამუშაო მიწას და მას უსარგებლოდ დასტოვებს, იმ შემთხვევაში მემამულეს მიწა, რომელიმე ორგანოს ზეგავლენით ჩამოერთვას და დასამუშავებლად გლეხს გადაეცესო. მიწის კითხვის საბოლოო მოგვარება ყრილობამ დამფუძნებელ კრებას აკუთვნა. ძალით ვისიმე საკუთრების მითვისება დაგმობილ იქნა.

უკანასკნელი ამბები.

— იუსტიციის მინისტრმა კერენსკიმ აუცილებლათ სცნო გამოიძიოს გაზეთების ცნობა იმის შესახებ, რომ ყირიმში დაარსებულა „პარტია 33“, რომელსაც მიზნათ ქონია მოემზადებია კონტრ-რევოლიუცია. განსაკუთრებული კომისია წავა იალტაში.

— მთავრობამ დაადგინა: ნახევარი მილიონი მანეთი ელიზავეტა თეოდორეს ასულისა. რომელიც იმყოფება მოსკოვის სახელმწიფო ბანკის კონტორაში, არ მიეცეს მას.

— როგორც ხმები დადის, გერმანეთის მთავრობამ, იმ აზრით, რომ დაუთმოს აღელვებულ მუშებს, მზადაა მოიწვიოს მინისტრთა ამხანაგებათ სოციალ-დემოკრატთა და ნაციონალ-ლიბერალთა წარმომადგენლები.

— ხალხის თავისუფლების პარტიის მიტინგზე მოსკოვში ე. ნ. ტრუბეცკოიმ მოხსენება წაიკითხა ომის შესახებ. „ყოველ დღე, სთქვა მან, გვესმის ჩვენ ტკბილი სიტყვები გერმანელთაგან იმის შესახებ, თუ როგორ შეიყვარეს მათ ჩვენი თავისუფლება. თუ ასეა, მაშ რისთვის უყრიან თავს პოლკებს აღმოსავლეთის ფრონტზე?

ტყუილათ კი არ გამოგვიგზავნეს გერმანელებმა საჰაერო ბუშტი მახრჩობელა გაზით, ბოლშევიკ ლენინის სახით.“

— თავრიდის სასახლეში თავი მოიყარა საშუალო სასწავლებლის მოწაფეებმა. მათ მიეგება ჩხეიძე და ძიუბინსკი. გიმნაზიელმა სთქვა. ჩვენ მოვითხოვთ, დაიკეტოს ყველა სასწავლებელი და გაგვიშვათ სოფელში ქარხნებში და გზებზე სამუშაოთ. ვითხოვთ მუშათა დეპუტატების საბჭოს დირექტივებს.

ლატიშთა დემოკრატიულმა პარტიამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს წერილი მიართვა, რომელშიაც ითხოვს, რომ ლატიშთა მხარე კურლიანდია, ნაწილი ლიფლიანდიისა, ვიტებსკისა და კოვნის გუბერნიები — აუცილებლივ შეერთებულ იქნენ ერთ პოლიტიკურ, ადმინისტრატიულ და ეკონომიურ ერთეულში ეგრედ წოდებულ ლატვიის სახელის ქვეშ, რომ მიენიჭოს მას სრული კანონმდებლობითი, ადმინისტრატიული, ფინანსიური და ეკონომიური ავტონომია.

აუცილებელია ეხლავე შესდგეს საერობო საბჭო, რომელიც მართავს მხარეს დამფუძნებელი კრების მოწვევამდი.

პორუჩიკ სიმონ ლომიძის ხსოვნას.

ამ წლის 12 თებერვალს დასავლეთის ასპარეზზე მტერთან ბრძოლაში დაიღუპა პორუჩიკი სიმ. ლომიძე. ქართველი მხედრები დიდათ დაამწუხარა სიმ. ლომიძის უდროოთ დაკარგვამ; იგი ეკუთვნოდა იმ წამებულ წრეს, რომელსაც მუდამ ახსოვს თავისი სამშობლო და შორეულ ბრძოლის ველზე მუდამ იჩენდა მის სიყვარულს. ლომიძე მუდამ მოუწოდებდა ქართველ მეომრებს, რომ მათ არ დაევიწყებიათ საკუთარ ერის ინტერესები და შეთანხმებულათ ემუშავნათ მის საკეთილდღეოდ.

საუკუნო იყოს ამხანაგთ შორის შენი ხსოვნა, კარგო ქართველო!

პარ. მე-14 კავკასიის მსროლელთა პოლკისა **პროკ. ბარამიძე.**

გასართობები.

ძმ. ეფიმოვების ცირკი

ცირკის ყოველ დღიურ პროგრამიდან აღსანიშნავია **პეტროკოვსკების** ტრიოს კუპლეტები დღიურ ჭირ ვარამზე. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ფრანგ ბ-ნ კომოს დასი. პაწია კომო 9-10 წლის ბავშვი სამმაგ სალტო მორტალეს გასაოცარის სიმშვიდით ასრულებს. საინტერესოა იაპონელთა დასის მიერ შესრულებული ნუმრები. ბ-ნი იოცუზუნო თავის თანაშემწე ქალს ყუთში ამწყვდევს, შემდეგ ყოველი მხრიდან ხანჯლებს ურჭობს, მაგრამ ქალი მაინც უვნები რჩება. Z.

წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგს ჩვენს წერილს: გაზეთ „სამშობლოს“ სააღდგომო ნომერში (586) მოთავსებული იყო წერილი ვინმე ვანო მესხიშვილისა, რომელიც ხსენებულ წერილში სწერს, თითქოს ანანოვის ტყის მართველს, ლავრენტი მიქელაძეს, სახელმწიფო საქმეში მუშად ჩაწერისათვის მუშებისაგან ფული აეღოს. ეს სიმართლეს სრულებით მოკლებულია, რადგანაც ჩვენ, სოფელ წყალტუბოს მცხოვრები მუშები, დიდი ხანია ანანოვის ტყეში ვმუშაობთ და ლავრენტი მიქელაძესაც ძალიან კარგათ ვიცნობთ, მაგრამ არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ იმას ვინმესათვის მუშათ ჩაწერისათვის ფული გამოერთმიოს. მესხიშვილს ჩვენ სრულებით ვერ ვიცნობთ, სწორეთ გასაკვირველია, რომელი მუშების მონდობილობით სწერს ბატონი მესხიშვილი.

ვთხოვთ მესხიშვილს, თავისი ვინაობა და აგრეთვე ვინაობა იმ მუშებისა, რომელთა მონდობილობითაც ის გამოდის, გაგვაცნოს და ჯეროვან პასუხს მაშინ გავცემთ.

ორმოცი მუშის მონდობილობით სოფ. წყალტუბოს მცხოვრები სარდიონ გურგენიძე და პოლიკარპე გურგენიძე.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ქვემომოყვანილ ჩემს განცხადებას.

მე ქართველი მაჰმადიანი (ჰაჯი) ირაკ-ოღლი მახარაძე ექვსი წელიწადია სოფ. როხში (ბაღდადის რაიონი) ვიმყოფები, აქაურ თანამოძმე ქართველებს დაუახლოვდი და ადგილობრივ მცხოვრებს დავესიძე. მე, როგორც მოსულს, სამოსახლო მიწა არ გამაჩნდა. ამის გამო ბევრჯერ მივმართე თხოვნით როხის სოფლის საზოგადოებას, რომ ჩემთვის დახმარება აღმოეჩინა. სოფელმა შეიწყნარა ჩემი თხოვნა და ნება მომცა დავსახლებულიყავი აქაურ სახაზინო ადგილზე დროებით მაინც. მე 1 აპრილს ხაზინის კუთვნილ ადგილში სახლიც ჩავსდგი და ცოლშვილიც შევიყვანე. 14 აპრილს დიდი უბედურება დამატყდა თავზე.

ჩემმა მეზობელმა, ვ. მორბელაძემ, პირადი შურისა და ინტერესების გამო მიმტრო და ბაღდადის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაგზავნა მილიციონერი, რომელმაც ახლად აშენებული სახლი დამინგრია და ავეჯეულობა გადამიყარა. მომხდარ ამბის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მე ნება არ მქონდა სახაზინო მამულში ჩავსახლებულვიყავი. ძალიან კარგი ეს ასე იყოს მაგრამ მე, უსწავლელმა კაცმა, რადგან საკუთარი გაგება არ მყოფნიდა, რჩევისთვის მივმართე სოფელს, რომლის ნებართვითაც დავსახლდი ხსენებულ მიწაზე. ვსთქვათ სოფელიც შესცდა, მაგრამ განა ეს უფლებას აძლევს აღმასრულებელ კომიტეტს სახლი დამიმტვრიოს, ავეჯი გადამიყაროს და ცოლშვილი ღია ცის ქვეშ დამიყაროს? არა მგონია ასეთი უსამართლობა, რომ ვინმემ ჩაიდინოს. მე პასუხს და მოყენებულ ზარალის ანაზღაურებას ვსთხოვ ბაღდადის აღმასრულებელ კომიტეტს. აგრეთვე მივმართავ ქართველ საზოგადოებას დამეხმაროს ამ საქმეში. მე შუამდგომლობა უკვე აღვსძარი ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტის, მუშათა საბჭოს და სახელმწიფო ქონებათა სამართველოს წინაშე.

პატ. **ირაკ-ოღლი მახარაძე.**

რედაქტორ გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 8 ს.	წ.
„	— სალამ.	8 ს. 50	„
ბათომიდან	— დღისით	— 12 ს. 40	„
„	— ღამის	— 1 ს.	„
ფოთიდან	— დილის	— 10 ს. 26	„
ტყიბულიდან	— საღამოს	— 6 ს. 50	„
ხაშურიდან	— დილის	— 9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	11 ს.	„
„	— ღამის	— 11 ს. 34	„
ბათომისაკენ	— საღამოს	7 ს. 5	„
„	— დილის	— 7 ს.	„
ფოთისაკენ	— დღისით	— 4 ს.	„
ტყიბულისაკენ	— დილის	— 8 ს. 40	„
ხაშურისაკენ	— დღით	— 5 ს. 20	„

ს. ბუგეულის რაჭის მაზრაში პირველ აპრილიდან

განახლდა

ძმ. წულუკიძეების **გოგირდის აბანოს** მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავათმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთრი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის. გამგე **ივანე სოხაძე.**

ექიმები:

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$ — 2 საათ. საღამოს 6 — 8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—1 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული

სტამბა „ძმობა“ ქუთაისში, პუშკინის ქუჩა.